

შპს „სერა“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით

შპს „სერა“

ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

გვერდი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3	
მოგება-ზარალი და სხვა გაერთიანებული შემოსავლების ანგარიშგება	4	
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	5	
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6	
ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები	7-18	
1. შესავალი		7
2. საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა		7
3. შედგენის საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მეთოდები		8
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობა		11
5. ძირითადი საშუალებები		12
6. მოთხოვნები საქონლის რეალიზაციიდან		12
7. გრძელვადიანი მოთხოვნები		13
8. ფული და ფულის ექვივალენტები		13
9. სასაქონლო-მატერიალური მარაგები		13
10. მოკლევადიანი ვალდებულებები		14
11. შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან		14
12. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება		14
13. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები		15
14. არასაოპერაციო შემოსავლები		15
15. არასაოპერაციო ხარჯები		15
16. უცხოური ვალუტის რისკი		16
17. მოგების გადასახადი		16
18. დაკავშირებული მხარეები		18
19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მომხდარი მოვლენები		18

შპს „სერა“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით.

	შენიშვნები	31.12.2021	31.12.2020
აქტივები:			
გრძელვადიანი აქტივები			
ფიქსირებული აქტივების ნარჩენი ღირებულება	5	75,667	78,091
არამატერიალური აქტივების ნარჩენი ღირებულება	5	7,785	9,731
სხვა გრძელვადიანი აქტივები	7	30,475	30,475
მთლიანი გრძელვადიანი აქტივები		113,927	118,297
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები	8	10,110	31,025
სავაჭრო მოთხოვნები	6	1,467,150	1,648,564
გაცემული ავანსები	6	5,594	2,297
მარაგები	9	1,033,015	706,486
საგადასახადო აქტივები	10	73,650	10,290
მთლიანი მიმდინარე აქტივები		2,589,519	2,398,662
სულ აქტივები		2,703,446	2,516,959
ვალდებულებები და კაპიტალი:			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	11	(3,476,808)	(3,699,426)
მიღებული ავანსები	11		(343)
საგადასახადო ვალდებულებები	11		
მთლიანი მოკლევადიანი ვალდებულებები		(3,476,808)	(3,699,769)
სულ ვალდებულებები		(3,476,808)	(3,699,769)
კაპიტალი			
დაუფარავი ზარალი			
პერიოდის მოგება/ზარალი		1,182,810	607,603
მთლიანი კაპიტალი		(409,448)	575,207
მთლიანი ვალდებულება და კაპიტალი		773,362	1,182,810
		(2,703,446)	(2,516,959)

ხელმოწერი პირები

6. შიგინა
აღმასრულებელი დირექტორი, ნათელა
შეიბოვა

30 სექტემბერი, 2021
თბილისი, საქართველო

თანდართული შენიშვნები 7-18 გვერდებზე წამოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების
განუყოფელ ნაწილს.

ბუღალტერი: გიორგი შენგელია

30 სექტემბერი, 2021
თბილისი, საქართველო

მოგება-ზარალის და სხვა გაერთიანებული შემოსავლების ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;

	შენიშვნები	31.12.2021	31.12.2020
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	12	(5,286,568)	(3,561,002)
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	13	4,352,475	3,097,106
საერთო მოგება		(934,093)	(463,896)
საოპერაციო ხარჯები			
შრომის ანაზღაურების ხარჯი	14	162,716	146,792
ზოგადი და ადმინისტრაციული დანახარჯები	14	467,200	375,812
ცვეთა/ამორტიზაცია	14	15,745	16,587
მოგების გადასახადის ხარჯი	14	10,134	8,741
მთლიანი საოპერაციო ხარჯები		655,795	547,932
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან		(278,298)	(84,036)
არასაოპერაციო შემოსავლები			
კურსთა შორის სხვაობა	15	(131,727)	
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	15	(25,360)	(21,088)
მთლიანი არასაოპერაციო შემოსავლები		(157,087)	(21,088)
არასაოპერაციო ხარჯები			
კურსთა შორის სხვაობა	16		492,766
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	16	25,937	19,493
მთლიანი არასაოპერაციო ხარჯები		25,937	512,259
შედეგი არასაოპერაციო საქმიანობიდან		131,150	491,171
მოგება/ზარალი, მოგების გადასახადის ხარჯამდე		(409,448)	575,207
მოგების გადასახადი			
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი		(409,448)	575,207

აღმასრულებელი დირექტორი: ნათელა
შეიშოვა

30 სექტემბერი, 2021
თბილისი, საქართველო.

გ. შენგელია
ბუღალტერი: გიორგი შენგელია

30 სექტემბერი, 2021
თბილისი, საქართველო

თანდართული შენიშვნები 7-18 გვერდებზე წამოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „სერა“

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;

	საწესდებო კაპიტალი	დაუფარავი ზარალი	საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	სულ
1 იანვარი, 2021	-	1,182,810		1,182,810
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)				
მოგება/ზარალი წლის განმავლობაში			(409,448)	(409,448)
საწესდებო კაპიტალი				
31 დეკემბერი, 2021	-	1,182,810	(409,448)	773,362

ხელმოწერილი პირები

აღმასრულებელი დირექტორი: ნათელა
შეიბოვა



30 სექტემბერი, 2021
თბილისი, საქართველო

ბუღალტერი: გიორგი შენგელია

30 სექტემბერი, 2021
თბილისი, საქართველო

თანდართული შენიშვნები 7-18 გვერდებზე წამოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების
განუყოფელ ნაწილს.

შპს „სერა“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით;

	31.12.2021	31.12.2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები	5,610,500	3,873,426
მომწოდებლებსა და დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები	(4,631,017)	(3,257,855)
სხვა	(17,786)	(16,113)
გადახდილი გადასახადები	(975,645)	(550,644)
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან	(13,948)	48,814
საინვესტიციო საქმიანობები		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(13,967)	(23,472)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	7,000	
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან		
წმინდა ფული ფინანსური საქმიანობიდან		
წმინდა ფულის ზრდა / (შემცირება)	(6,967)	25,342
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	31,025	5,683
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	10,110	31,025

ხელმოწერილი პირები

6. შიშა
ადმასრულებელი დირექტორი: ნათელა
შეიბოვა



გ. შენგელია
ბუღალტერი: გიორგი შენგელია

30 სექტემბერი, 2021
თბილისი, საქართველო

30 სექტემბერი, 2021
თბილისი, საქართველო

თანდართული შენიშვნები 7-18 გვერდებზე წამოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „სერა“

ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. შესავალი

ორგანიზაცია და მისი ოპერაციები

შპს „სერა“ დაარსდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ორგანიზაცია წარმოადგენს იურიდიულ პირს, რომელიც ოპერირებს თბილისში საქართველოს კონსტიტუციის, კანონისა და კომპანიის წესდების საფუძველზე. ორგანიზაცია დაარსდა 2009 წლის 13 მაისს.

ორგანიზაციის 50%-50% წილის მფლობელები არიან ჯემ ისმაილ იმრენ და ლევენტ ოსმან შანლი.

შპს „სერა“-ს გენერალური დირექტორია სეფერ ჰაქან ქაიით, ხოლო აღმასრულებელი დირექტორია ნათელა შეიზოვა.

ორგანიზაციის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საკონდიტრო მასალების და შოკოლად-ტკბილეულის იმპორტი სხვადასხვა ქვეყნებიდან და შემდგომში ადგილობრივ ბაზარზე მათი რეალიზაცია.

კომპანიის რეგისტრირებული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი, ვანის ქ. N4, ხოლო ფაქტობრივი მისამართია საქართველო, თბილისი, ერისთავის ქ. N5

2. საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

ეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ქართულ ლარში ("ლარი"), რადგან ეს ვალუტა ყველაზე კარგად ასახავს ორგანიზაციის ეკონომიკურ მდგომარეობას, მის გარშემო არსებულ სიტუაციას და განხორციელებულ გარიგებებს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რადგან ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ეს ვალუტა მეტად გამოსადეგია ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთათვის.

უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი ნაშთების წარმოსადგენად გამოყენებული კურსი:

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
1 დოლარი (\$) / ლარი (G)	3.0976	3.2766
1 ევრო (Euro) / ლარი (G)	3.504	4.0233

3. შედგენის საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მეთოდები

განცხადება შესაბამისობის თაობაზე

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს სტანდარტები) მიხედვით, რომელიც გამოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ ("ზასს").

გაანგარიშების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების პრინციპის საფუძველზე.

კონტროლის ურთიერთობები

ორგანიზაციის საბოლოო მაკონტროლებელი მხარე არის საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

უწყვეტობის პრინციპი

ხელმძღვანელობამ მოამზადა ფინანსური ანგარიშგება უწყვეტობის პრინციპის გათვალისწინებით. ამ გადაწყვეტილების მიღებამდე ხელმძღვანელობამ გაანალიზა ახლანდელი მაკროეკონომიკური გარემო საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის, დადებითი ფულადი ნაკადები, ოპერაციების მომგებიანობა და ადგილობრივი ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა.

ფინანსური ინსტრუმენტები-შეფასების ძირითადი ფაქტორები

კლასიფიკაციიდან გამომდინარე, ფინანსური ინსტრუმენტები ფასდება სამართლიანი ღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით, როგორც ქვემოთ არის აღწერილი.

სამართლიანი ღირებულება

ორგანიზაცია ახდენს ფინანსური ინსტრუმენტების ანალიზს, რომლებიც წარმოდგენილია სამართლიანი ღირებულებით და ჯგუფდება 1-დან 3 დონემდე. ეს დონეები წარმოადგენს შემდეგს:

- დონე 1 - სამართლიანი ღირებულება განსაზღვრულია კოტირებული საბაზრო ფასით, რომელიც კოტირდება აქტიურ ბაზარზე;
- დონე 2 - სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება კოტირებული ფასებით, რომელიც მოიცავს პირველ დონეს და მსგავსია არსებული აქტივისა ან ვალდებულებისა
- დონე 3 - სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება შეფასებისგან, რომელიც მოიცავს ისეთ აქტივებს და ვალდებულებებს, რომლებიც ბაზარზე არ კოტირდება

საოპერაციო ხარჯები წარმოადგენს დამატებით ხარჯებს, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული შესყიდვებთან ან გამოშვებასთან. დამატებითი ხარჯი არ წარმოიქმნება იმ შემთხვევაში თუ გარიგება არ მომხდარა. საოპერაციო ხარჯები არ მოიცავს ფასდათმობას, დაფინანსების ხარჯებს, შიდა ადმინისტრაციულ ან სხვა ხარჯებს.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში.

კომპანიის ფუნქციური ვალუტა არის იმ ეკონომიკური გარემოს პირველადი ვალუტა, რომელშიც კომპანია ოპერირებს. კომპანიის ფუნქციური ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა ქართული ლარი (ლარი).

ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში გადაიყვანება კომპანიის მიერ შესაბამის საოპერაციო ვალუტაში საქართველოს ეროვნული ზანკის მიერ ტრანზაქციის დღეს დადგენილი გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში არსებული საბალანსო ნაშთები საბალანსო ანგარიშგების თარიღისთვის გადაიყვანება კომპანიის საოპერაციო ვალუტაში, ანგარიშგების დღეს საქართველოს ეროვნული ზანკის მიერ დადგენილი კურსით. საკურსო სხვაობა გამოწვეული ვალუტის გადაყვანით ასახულია პერიოდის მოგება-ზარალში.

ფული და ფულის ექვივალენტები.

კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები შედგება საბანკო და სალაროს ანგარიშებზე გათავსებული ნაშთებისგან.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება გროვდება მაშინ, როდესაც მყიდველები იძენენ საქონელს კონსიგნაციის, შემდგომი გადახდის პირობით.

ძირითადი საშუალებები.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება მათ თავდაპირველ ღირებულებას დაკლებული დაგროვილი ცვეთა. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებით და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

ძირითადი საშუალებები, რომელიც გამოიყენება ძირითადი საქმიანობისთვის ან ადმინისტრაციული გამოყენების მიზნებისთვის, აღრიცხულია მისი თვითღირებულებისა და დაგროვილი ცვეთის ღირებულებას შორის სხვაობით. თვითღირებულება შეიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომელიც გათვალისწინებულია ორგანიზაციის სააღრიცხვო პოლიტიკით.

მოგება და ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით მიღებული სარგებლისა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშებაში.

ცვეტა.

ცვეტის დარიცხვა ხდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში შემცირებული ნაშთის მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეტის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

სასიცოცხლო პერიოდი

მანქანა დანადგარები, კომპიუტერები, ავეჯი და სხვა
ინვენტარი, ავტომობილები

3 – 7 წელი

შემოსავლების აღიარება.

შემოსავალი განისაზღვრება მისივე სამართლიანი ღირებულებით ან სავაჭრო მოთხოვნებით, რომელშიც გათვალისწინებულია კომპანიის ფასდაკლებები და ფასდათმობები. შემოსავალი მცირდება შეფასებული ფასდაკლებებით და სხვა მსგავსი შეღავათებით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება გროვდება მაშინ, როდესაც ორგანიზაცია ახდენს საქონლის/მომსახურების შეძენას კონსიგნაციის, შემდგომი გადახდის პირობით.

მოგების გადასახადები.

რეზიდენტი საწარმოს მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია:

- ა) განაწილებული მოგება;
- ბ) გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის;
- გ) უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა;
- დ) სსკ კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.
- ე) სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ან/და ძირითადი საშუალების დანაკლისი.

მოგების გადასახადის განაკვეთია 15%.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის ყველაზე დაბალი ღირებულებით. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და მის არსებული სამუშაო მდგომარეობაში მიყვანასთან. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება

არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, დაკავშირებული აქტივის გაყიდვასთან.

გადახდილი ავანსები.

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან რომელიც თავად კლასიფიცირებული უნდა იყოს როგორც გრძელვადიანი აქტივი. ძირითადი საშუალებებისთვის განკუთვნილი წინასწარი გადახდები აღიარდება, როგორც ძირითადი საშუალება მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებელი. სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგებაში ან ზარალში როდესაც ხდება იმ საქონლის ან მომსახურების მიღება, რომელიც დაკავშირებულია წინასწარი გადახდებთან. თუ არის რაიმე სახის ეჭვი, რომ საქონელი, მომსახურება ან ძირითადი საშუალება არ იქნება მიღებული, რომლისთვისაც გაწეულია წინასწარი ხარჯი, ამ შემთხვევაში ხდება წინასწარ გაწეული ხარჯის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობა.

კომპანია მუდმივად აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ცნობით აქტივებზე და ვალდებულებებზე სამომავლოდ. შეფასებები და დაშვებები მუდმივად ფასდება და ეყრდნობა ხელმძღვანელობის ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალ მოვლენებს, რომლებიც სარწმუნოა, რომ მიესადაგება აღნიშნულ გარემოებებს.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობის სხვადასხვა ინტერპრეტაცია.

თავდაპირველი აღიარება დაკავშირებულია მხარის ოპერაციებთან. ჩვეულებრივად, კომპანია აწარმოებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. მსჯელობა გამოიყენება იმის განსაზღვრელად შეესაბამება თუ არა ტრანზაქცია საბაზრო თუ არა საბაზრო ღირებულებას, იმ შემთხვევაში, როდესაც მსგავსი ტრანზაქციისთვის არ არსებობს აქტიური ბაზარი.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, რისთვისაც ითვალისწინებს სხვადასხვა ფაქტორებს, ისეთებს როგორიცაა ტექნიკური მხარე, კომერციული გამოყენება, ძირითადი საშუალებების გამოყენების ვადა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს საუკეთესო გზით შეაფასოს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა, ის შეიძლება განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შპს „სერა“

ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

5. ძირითადი საშუალებები

	კომპიუტერები, ავაჯი და სხვა ინვენტარი	ავტომობილები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	არამატერიალური აქტივები	სულ
<i>საბალანსო ღირებულება</i>					
დეკემბერი 31, 2020	146,935	63,546	26,303	15,135	251,919
მატება		13,969			13,967
კლება	-7365	-7,000			-14,365
დეკემბერი 31, 2021	139,570	70,515	26,303	15,135	251,523
<i>დაგროვილი ცვეთა</i>					
დეკემბერი 31, 2020	99,115	41,429	18,150	5,404	164,097
მიმდინარე წლის ცვეთა	2,368	-1,564	1,223	1,946	3,973
დეკემბერი 31, 2021	101,483	39,865	19,373	7,350	168,071
<i>ნარჩენი ღირებულება</i>					
დეკემბერი 31, 2020	47,820	22,117	8,154	9,731	87,822
დეკემბერი 31, 2021	38,087	30,650	6,930	7,785	83,452

6. მოთხოვნები საქონლის რეალიზაციიდან

კომპანიის მოკლევადიანი მოთხოვნები ორგანიზაციებთან 2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1,467,150	1,648,564
გაცემული ავანსები	5,594	2,297
სულ	1,472,744	1,650,861

ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

7. გრძელვადიანი მოთხოვნები

კომპანიის გრძელვადიანი მოთხოვნები ორგანიზაციებთან 2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
გრძელვადიანი მოთხოვნები მიწოდებიდან	30,475	30,475
სულ	30,475	30,475

8. ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები 2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	60	8,399
ფული საბანკო ანგარიშებზე	10,050	22,626
სულ	10,110	31,025

ფულადი სახსრების ნაშთები საბანკო ანგარიშებზე შეიძლება კლასიფიცირდეს როგორც დაბალი რისკის მქონე, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ბანკებში, სადაც კომპანიას აქვს მიმდინარე ანგარიშები საიმედო ქართული საკრედიტო დაწესებულებებია.

9. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

კომპანიის სასაქონლო-მატერიალური მარაგები 2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
სასაქონლო მარაგები	1,033,015	706,486
სულ	1,033,015	706,486

10. სხვა აქტივები

კომპანიის საგადასახადო აქტივები 2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
საგადასახადო აქტივები	73,650	10,290
სულ	73,650	10,290

შპს „სერა“

ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

11. მოკლევადიანი ვალდებულებები

კომპანიის მოკლევადიანი ვალდებულებები 2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
მოწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	(3,476,808)	(3,699,426)
მიღებული ავანსები	0	(343)
სულ	(3,476,808)	(3,699,769)

12. შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან

კომპანიის შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

	31 დეკემბერი, 2021
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	(5,286,568)
სულ	(5,286,568)

13. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

კომპანიის რეალიზებული საქონლის თვითღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

	31 დეკემბერი, 2021
საქონლის ხარჯი	4,352,475
სულ	4,352,475

შპს „სერა“

ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

14. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

კომპანიის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

	31 დეკემბერი, 2021
შრომის ანაზღაურების ხარჯი	162,716
საბუღალტრო და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	44,050
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი	392,345
ოფისის იჯარის ხარჯი	23,574
სხვა ხარჯი	7,231
ცვეთის ხარჯი	15,745
მოგების გადასახადი	10,134
სულ	655,795

15. არასაოპერაციო შემოსავლები

კომპანიის არასაოპერაციო შემოსავლები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

	31 დეკემბერი, 2021
კურსთა შორის სხვაობა	(131,727)
არასაოპერაციო შემოსავალი	(25,360)
სულ	(157,087)

16. არასაოპერაციო ხარჯები

კომპანიის არასაოპერაციო ხარჯები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

	31 დეკემბერი, 2021
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	25,937
სულ	25,937

ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

17. უცხოური ვალუტის რისკი

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი, რომ სამართლიანი ღირებულება ან უცხოურ ვალუტაში არსებული საბალანსო პერიოდის კრედიტორული დავალიანების ნაშთი იქნება არამყარი უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო. კომპანიის საფრთხე რისკის მიმართ უპირველესად უკავშირდება მის ფუნქციონირებას (კონსიგნაციის პირობით უცხოურ ვალუტაში იმპორტირებული სასაქონლო-მატერიალური მარაგები).

კომპანია რეალიზაციას ახდენს ლარში, ხოლო შემდგომში უცხოურ ვალუტაში ახდენს კრედიტორული დავალიანებების შემცირება/დაფარვას, რის გამოც სავალუტო რისკის საფრთხე მომდინარეობს საბალანსო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში არსებული კრედიტორული დავალიანებების ეროვნულ ვალუტაში გადაფასებების დროს.

უცხოურ ვალუტაში არსებული საბალანსო პასივები, რომლებიც კომპანიას სავალუტო რისკის წინაშე აყენებენ, ქვემოთ არის მოცემული. მოცემული თანხები არის თანხები, რომლებიც შეტყობინებულია მთავარი მენეჯმენტისათვის და კონვერტირებულია ლარში საანგარიშო პერიოდის კურსით:

	ვალდებულებები 31 დეკემბერი, 2021	ვალდებულებები 31 დეკემბერი, 2020
GEL	(140,890)	(116,112)
USD	(1,076,390)	(883,279)
EUR	(65)	(171,378)

ქვემოთ მოცემული ცხრილი დეტალურად აღწერს კომპანიის მგრძნობელობას 20%-იან ზრდაზე და შემცირებას ლარში დოლართან მიმართებით. 20% წარმოადგენს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაძლო ცვლილების მენეჯმენტისეულ შეფასებას. ანალიზი „მგრძნობელობაზე“ მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ნარჩენ ფულად საშუალებებს და არეგულირებს მათ კონვერტირებას პერიოდის დასასრულისათვის უცხოური ვალუტის კურსის 20%-იანი ცვლილებით. დადებითი სიდიდე მიუთითებს მოგება-ზარალის ზრდას, როდესაც ლარი მყარდება შესაბამისი ვალუტის მიმართ.

	გავლენა 2021		გავლენა 2020	
	20%-იანი ზრდა	20%-იანი კლება	20%-იანი ზრდა	20%-იანი კლება
ვალდებულებები- მოგება/(ზარალი) USD	215,278	215,278	176,656	176,656
ვალდებულებები- მოგება/(ზარალი) EUR	13	13	34,276	34,276

18. მოგების გადასახადი:

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა ცვლილებები შეიტანა იურიდიული პირების საგადასახადო მოდელში, რომელიც ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს ყველა იურიდიული პირისთვის გარდა კოდექსში მითითებული პირებისა. შეცვლილი მოგების კანონი არ ბეგრავს გაუნაწილებელ მოგებას და მოგების გადასახადი ერიცხება განაწილებული დივიდენდის 15%. ეს

**ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის**

განსხვავდება წინა მდგომარეობიდან, როდესაც ორგანიზაცია იხდიდა 15% -ს მოგება/ზარალის მოგების გადასახადით დაბეგვრამდე მიუხედავად იმისა განაწილებული იყო თუ არა დივიდენდი. ამ ცვლილებას ქონდა პირდაპირი გავლენა გადავადებულ გადასახადზე.

ფინანსური რისკის მართვა

რისკის მართვის ფუნქცია კომპანიაში ხორციელდება ფინანსური რისკების, საოპერაციო რისკების და სამართლებრივი რისკების გათვალისწინებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკი, საპროცენტო რისკის რისკი და სხვა რისკი), საკრედიტო რისკი და ლიკვიდურობის რისკი. ფინანსური რისკების მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია ფინანსური რისკების ზღვრების დადგენა და იმის უზრუნველყოფა რომ ის არ გასცდება ამ ზღვრებს. ოპერატიული და სამართლებრივი რისკების მართვის ფუნქციები მიზნად ისახავს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორად ფუნქციონირებას ოპერატიული და სამართლებრივი რისკების მინიმიზაციის მიზნით.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც ორგანიზაცია მიიღებს ფინანსურ ზარალს. კომპანიის პოლიტიკის მიხედვით, კომპანია ურთიერთობს კრედიტ უნარიან კონტრაქტორებთან, რის შედეგადაც მცირდება კონტრაქტორის დეფოლტის რისკი, მაქსიმალურ საკრედიტო რისკს წარმოადგენს შემდეგი ფინანსური ინსტრუმენტები:

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
სავაჭრო მოთხოვნები	1,467,150	1,648,564
ფული და ფულის ექვივალენტები	10,110	31,025
	1,477,260	1,679,589

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ორგანიზაცია ვერ შეძლებს შეასრულოს თავისი ვალდებულებები.

ორგანიზაციის პოლიტიკა გულისხმობს აწარმოოს ლიკვიდურობის გონივრული მართვის პოლიტიკა შესაბამისი პროცედურების ჩატარების საშუალებით: რომელიც მოიცავს შესაბამისი რაოდენობის ნაღდი ფულის და საბანკო ნაშთების ქონას, ასევე მაღალ ლიკვიდური აქტივების მიღებას რომელსაც მოყვება ყველა საოპერაციო და გადასახდელი ვალდებულებასთან დაკავშირებული სერვისები.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს აქტივებს და ვალდებულებებს მათი დარჩენილი საკონტრაქტო ვადის მიხედვით 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შპს „სერა“

ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	მოთხოვნა 1 თვეზე ნაკლები	1 დან 3 თვემდე	3 დან 5 თვემდე	5 დან 12 თვემდე	5 წელზე წემოთ	მთლიანი
აქტივები						
მოკლევადიანი მოთხოვნები	363,201	148,784	-	955,165	-	1,467,150
გაცემული საგადასახადო ავანსები	-	-	-	-	-	-
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	10,110	-	-	-	-	10,110
მთლიანი სამომავლო გადასახადი	373,311	148,784	-	955,165	-	1,477,260
ვალდებულებები						
მოკლევადიანი ვალდებულებები	(140,890)	(75,288)	-	(3,260,630)	-	(3,476,808)
გადასახდელი ხელფასები	-	-	-	-	-	-
მთლიანი სამომავლო გადასახადი	(140,890)	(75,288)	-	(3,260,630)	-	(3,699,426)
ლიკვიდობის პოზიცია	232,421	73,496	-	(2,305,465)	-	(1,999,548)

19. დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებული მხარეები კომპანიის არიან წევრთა საერთო კრებაში შემავალი პირები.

საანგარიშო წლის განმავლობაში ორგანიზაციას ქონდა შემდეგი ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, ანგარიშგება თარიღის მიხედვით ნაშთები:

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
მენეჯმენტის ხელფასები და ბონუსები	162,716	146,792

20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მომხდარი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდეგ მნიშვნელოვანი მოვლენები არ მომხდარა კომპანიაში, რომელიც საჭიროებს გაამჟღავნებას.